

გალაკტიონი თუ გალაქტიონი?

ქართულ ენაში ბევრია kt კომპლექსის შემცველი ბერძნული წარმოშობის სიტყვები. ძველ ქართულში ეს kt კტ-ით (ზოგჯერ კდ-თი) გადმოჰქონდათ და იწერებოდა: ინდიკტიონი, ნეკტარი, ოკტომბერი (ან: ოკდონბერი), სეკტემბერი (ან: სეკდენბერი), თუმცა ძველი ქართულისათვის უცხო არ არის არც ქტ (ზოგიერთ ძველში გვხვდება, მაგალითად, ინდიქტიონი).

მეცხრამეტე საუკუნეში დაახლოებით იგივე სურათია; მხატვრულ ლიტერატურაში, პრესაში გვხვდება: აკტი, ფაკტი, ნეკტარი, რედაკტორი... მაგრამ კტ თანდათანობით ადგილს უთმობს ქტ-ს. ეს უკანასკნელი საბოლოოდ იმარჯვებს და სალიტერატურო ქართულის ნორმა ხდება.

დღეს, როგორც ყველას მოეხსენება, კტ-ს ვწერთ მხოლოდ საკუთარ სახელში გალაკტიონ-ში და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვ. ტაბიძეს ეხება საქმე. სხვას თუ ვისმე ჰქვია ეს სახელი, იწერება გალაქტიონი (ისევე, როგორც ვიქტორი, პოლიევქტორი... როგორც საზოგადო სახელები: აქტი, ფაქტი, რედაქტორი, კორექტორი და მისთ.).

რატომ დარჩა ამ კერძო, ერთადერთ შემთხვევაში კტ? ამბობენ, თვით ჩვენი სასიქადულო პოეტი ასე წერდა თავის სახელსო. ეს, ეტყობა, მართლაც ასეა. მაგრამ პოეტი წერდა თავის სახელში კტ-ს ძველი, თავისი ახალგაზრდობის დროინდელი ტრადიციის მიხედვით, მაშინდელი მართლწერის შესაბამისად. მართლწერა ანუ ორთოგრაფია ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ არ არის, ცოცხალი ენის განვითარებასა და ცვლილებასთან ერთად იცვლება ორთოგრაფიაც.

ოცინი წლების ბოლომდე ასეთი სიტყვების დაწერილობაში არ იყო ერთგვარობა დაცული: ზოგი ავტორი ქტ-ს არჩევდა, ხოლო ზოგი — კტ-ს. ამ უკანასკნელის დამკვიდრებას მოითხოვდა, კერძოდ, სილოვან ხუნდაძე. იგი ცდილობდა ფონეტიკურად დაესაბუთებინა კტ-ს უპირატესობა ქტ-სთან შედარებით და წერდა: „სამწუხაროდ,

ჩვენი მწერლობა ქართული ენის კანონიერებას ყოველთვის თანდა-  
თანობით არ მისდევს და ...ხმარობენ: რედაქტორი, დირექტორი,  
ლექტორი, პროექტი, ელექტრონი, სექტემბერი, თქტომბერი... ამ-  
გვარი სიტყვების მართლწერაში... კბ უნდა ვიხმაროთ: რედაქტორი,  
სექტემბერი და სხვ.<sup>1</sup>.

მაშინ ს. ხუნდაძეს მიმდევრებიც პყავდა და, უნდა ვიფიქროთ,  
გ. ტაბიძეც იზიარებდა ამ შეხედულებას. ჩვენი აზრით, ამითაც უნდა  
ახსნას ის, რომ პოეტი თავის სახელს წერდა კტ-თი<sup>2</sup>.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართული მართლწერა ბევრ რამე-  
ში არ გაპყვა ს. ხუნდაძის მიერ ნაჩვენებ გზას და ამ კერძო შემ-  
თხვევაშიც ენაში არსებული ობიექტური ვითარების გათვალისწინე-  
ბით საბოლოოდ დამკვიდრდა ქტ. ამ ორთოგრაფიულმა წესმა დღეს  
გამონაკლისი არ იცის; ყველა ვწერთ ასე: აქტი, ფაქტი, რედაქტორი,  
რექტორი, დოქტორი, სექტემბერი, ოქტომბერი, ოქტავა, არქტიკა, გა-  
ლაქტიკა...

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში, ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე  
გამოყვეს ადგილი გ. ტაბიძის ძეგლისათვის და დადგეს ქვა, რო-  
მელზედაც ლამაზი ასოებით გამოყვანილ წარწერაში იკითხებოდა:  
„აქ აღიმართება დიდი ქართველი პოეტის გალაქტიონ ტაბიძის ძეგ-  
ლი“. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ აღ-  
ნიშნულ წარწერაში ქ კ-დ იყო გადაკეთებული (გადაკეთების კვალი  
ეტყობოდა). ქტ ალბათ მკრეხელობად მიიჩნიეს დიდი პოეტის ხსოვ-  
ნის წინაშე.

ნუთუ მართლა მკრეხელობა იქნებოდა, რომ „გალაქტიონ ტა-  
ბიძე“ გვეწერა, ისევე როგორც, საერთოდ, სახელ „გალაქტიონ“-ს  
ვწერთ? ეს ხომ წმინდა ორთოგრაფიული საკითხია! ბევრი მაგალი-  
თის მოყვანა შეიძლება, რომ ერთი და იგივე სახელი იწერებოდა  
სხვადასხვაგვარად და შემდეგ ხდებოდა უნიფიცირება, რადგანაც  
მართლწერა მოათხოვდა ამას.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში განსაკუთრებული ყურად-  
ღება ექცევა საკუთარი სახელების გადმოცემას. საენციკლოპედიო  
სტატიებზე მუშაობამ გამოავლინა ისეთი სიჭრელე, კერძოდ, საკუ-  
თარი სახელების დაწერილობაში, რომელიც სხვა პირობებში იმდე-  
ნად არ იქცევს ყურადღებას. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველ  
მოდეაწეთა სახელები ხშირად ორ-ორი (და მეტი) სახით გვხვდება:  
არსენი იყალთოელი და არსენ იყალთოელი, ანტონი I და ანტონ I;

1 იხ. მისი „ქართული მართლწერისა და ხწორენის ძირითადი საფუძვლები“,  
ქუთაისი, 1927 წ., გვ. 148.

2 ცნობილი ქართველი რუსთველოლოგი ვ. ნოზაძე თავის სახელს წერდა ასე-  
ვე კტ-თი: ეფიკტორ.

ძველ ქართულ ძეგლებშია: **ჰაბო ტფილელი**, ეფთვიმე მთაწმიდელი<sup>3</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება **ჰაბო ტფილელიცა** და **აბო თბილელიც**, ეფთვიმე მთაწმიდელიცა და ექვთიმე მთაწმიდელიც.

ასევე, რიგი სხვა სახელებიც შეიძლება იყოს ნაირ-ნაირი დაწერილობითმაგ., (ძველ ქართულში) **იოანე** და **იოვანე**, აგრეთვე **იოჰანე**, (ახალ ქართულში) **თედორე** და **თევდორე**.

ქსე-ში მიიღეს ზემოთ მოყვანილი სახელების თითო ვარიანტი. ეს შერჩევა მოხდა არა ვისიმე გემოვნებით, არა ე. წ. „კეთილზმოგანების“ მიხედვით, არამედ გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით: რომელი სახეობა უფრო ხშირად გვხვდება ძეგლებში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, რა უფრო მიზანშეწონილია ისტორიული თვალსაზრისით, ანდა რა ტენდენციაა აქამად ამა თუ იმ სახელის დაწერილობაში; აქედან ქსე-ში გატარებულია: აბო **თბილელი**, არსენ იყალთოელი, ანტონ I, ექვთიმე მთაწმინდელი, უბრატესობა მიეცა „იოანეს“, „თედორეს“<sup>3</sup>.

დროის მიხედვით ჩვენთვის უფრო ახლო მაგალითები რომ მოვიყვანოთ ვისიმე სახელის დაწერილობის შეცვლისა, შეიძლება გავიხსენოთ შემდეგი: 20-იან წლებში ცნობილი მეცნიერების ს. ჯანაშიას და ს. ყაუხჩიშვილის სახელი იწერებოდა ვი-თი (სვიმონ ჯანაშია, სვიმონ ყაუხჩიშვილი; თავად წერდნენ ასე, მაშინ ეს იყო ნორმა!), შემდეგ გადავიდნენ „სიმონ“-ზე და ახლა ეს სახელი მხოლოდ ასე იხმარება, ახლა ეს არის ნორმა!

ცვლილებები უცხო არ არის ცნობილ პირთა გვარების დაწერილობაშიც. მაგალითად, ნიკო ლომოურის გვარი, რომელსაც ახლა ასე ეწერთ და სხვანაირად ვერც კი წარმოგვიდგენია, მის სიცოცხლეში იწერებოდა ორგვარად: „ლომაური“ (უფრო ხშირად) და „ლომოური“. აქამად ეს უკანასკნელი („ლომოური“) ფორმა დაშვებულა<sup>4</sup>.

დასასრულ, მკითხველს გვინდა შევახსენოთ ერთი ფაქტიც: ხომ ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილის სიცოცხლეში მისი სახელი იწერებოდა ბოლოში ორი **ო**-თი: **ნიკოლოოზ** ბარათაშვილი, უკვე მე-19 საუკუნეშივე **ნიკოლოოზ**-ში ერთი ო დაიკარგა (ეტყობა, ჯერ წარმოთქმაში და შემდეგ წერაშიც) და საბოლოოდ დამკვიდრდა **ნიკოლოზი**. ამ წესს დაექვემდებარა, კერძოდ, ჩვენი დიდი რომანტიკოსის სახელიც და

<sup>3</sup> ეს უკანასკნელი დღეს მიღებული ნორმის მიხედვით შეირჩა (იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1, 1970, გვ. 16 და აგრეთვე, 1986, გვ. 232).

<sup>4</sup> ასევე, სოფრომ მგალობლიშვილი თავის სახელს **სოფრონ** ფორმით წერდა.

დღეს ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ იგი თავის სახელს ორი-  
ო-თი წერდა.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა და თანამედროვე ორთოგრაფიის  
გათვალისწინება სრულ საფუძველს იძლევა იმისას, რომ გ. ტაბიძის  
სახელშიც ქტ კომპლექსი გამოგვეყენებინა. ფიქრობთ ამით არა-  
ვითარ შემთხვევაში არ მიადგებოდა ჩრდილი პოეტის ხსოვნას, მე-  
ორე მხრივ კი, თავიდან აგვაცილებდა ახალ გაუგებრობებს. მხედვე-  
ლობაში გვაქვს ჩვენი პოეტის სუხნიების მოხსენიება **გალაკტიონ**-ად-  
ამის პრეცედენტები, სამწუხაროდ, უკვე არსებობს. მაგრამ, თუკი  
ჩვენი მწერლები და, საზოგადოდ, ქართველი ინტელიგენცია მაინც  
უგულებელყოფს (გამონაკლისის სახით) კანონიერ ორთოგრაფიას პო-  
ეტის ნების სასარგებლოდ, სიფხიზლე გვმართებს, რათა გამონაკლი-  
სი სხვა შემთხვევებზედაც არ გავრცელდეს და წესად არ იქცეს.

5 ამის არაერთი ნიმუში შეგვხვდრია სამკლავიარო განცხადებებში; ასევე,  
ეურნ. „ცისკრის“ ერთ-ერთი ნომრის (1985 წ., № 2) ავტორი ასევე გალაკტი-  
ონ ფორმიტაა წარმოდგენილი (სარჩევშიც და ძირითად ტექსტშიც).